ადრესატი:

გიორგი გაზდელიანი
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**პ/22479144**
თარიღი: **10/07/2024**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N08

დ. ლენტეხი. 10.07.2024.წ

მიმდინარე წლის 10 ივლისს დღის 12 საათზე ჩატარდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ:

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა, წევრები -- დავით პირველი, მევლუდ ლიპარტელიანი, ირაკლი ქურასბედიანი, მოწვეული სპეციალისტი ცოტნე ქურასბედიანი,საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი.

საფინანსო- სბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა.

/მომხ. ტ. ჩანქსელიანი/

მოისმინეს: მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 6 თვის ბიუჯეტის ანგარიში საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემოსულობების, გადასახდელების შესაბამისი პერიოდის გეგმიური მაჩვენებლების მიხედვით.

2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების წლიური გეგმა შეადგენს 17321.6 ათ, ლარს, 6 თვის ფაქტიური შესრულება შეადგენს 9773,2 ათ, ლარს. შესრულების პროცენტი 56 %. აქედან 9883,0 ათ.ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან, ფაქტიურად შესრულებულია4975,9 ათ, ლარი. შესრულებულია 50% ით. საკუთარი შემოსავლები 7438.6 ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება 4797,2 ათ. ლარი, შესრულებულია 64 % ით.

გადასახდელების წლიური გეგმა შეადგენს 21062,5 ათ. ლარს , ფაქტიური შესრულება 6897,4 ათ, ლარი, ფაქტიური შესრულება შესრულებულია 32 % ით. აქედან ხარჯები 8556. 4 ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება 4374.6 ათ ლარი , შესრულებულია 51 % ით. გრანტები 10062,6 ათ ლარიშესრულებულია ექვს თვეში 2644,5 ათ. ლარით, შესრულებულია 26% ით. დამატებითი ღირებულების გადასახადი გეგმით 6759.0 ათ.ლარი, შესრულებულია 3238,7 ათ.ლარი. შესრულებულია 47 % ით.

არაფინანსური აქტივები წლიური გეგმა 12476.1 ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება2522.8 ათ. ლარი, შესრულებულია 26% ით. სხვა შემოსავლების წლიური გეგმა 450.0 ათ.ლარი, ფაქტიური შესრულება , 93,4 ათ. ლარი. შესრულებულია 20 % ით.

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 3740.9 ათ. ლარი, აღნიშნული ნაშთიდან 2421.2 ათ. ლარისახ. ბიუჯეტიდან განკარგულებით გამოფილი ნაშთია, ხოლო 1319.7 ათ, ლარი წარმოადგენდა თავისუფალ ნაშთს.

ვალდებულების კლება გეგმით გათვალისწინებულია 30.0 ათ.ლარი, რომელიც წარმოადგენს სასამართლო გადაწჯვეტილების აღსრულებას. ფაქტიურად არ არის გახარჯული.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები წლიური გეგმით გათვალისწინებულია 21062.5 ათ ლარი ფაქტიურად შესრულებულია 6897,4 ათ ლარი, შესრულებულია 50 % ით.

ინფრასტრუქტურის განვითარება წლიური გეგმით11659.9 ათ. ლარი , ფაქტიური შესრულება 2143.8 ათ ლარი, შესრულებულია 18 % ით.

დასუფთავება და გარემოს დაცვა წლიური გეგმით 526,0 ათ.ლარი, შესრულებულია 20,0 ათ. ლარით , შესრულების პროცენტი 49 %.

განათლება წლიური გეგმით გათვალისწინებულია 1080,0 ათ,ლარი. გახარჯულია 524.8 ათ. ლარი, შესრულებულია 48%-ით.

კულტურა ახალგაზრდობა და სპორტი წლიური გეგმა წარმოადგენს 1619.0 ათ ლარს, ფაქტიური შესრულება 794.9 ათ. ლარს . შესრულებულია 49 % ით.

ჯამრთელობა და სოციალური უზრუნველყოფა გეგმით გათვალისწინებულია 392.0 ათ ლარ, ფაქტიური შესრულება 260.8 ათ, ლარი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ მომხსენებელს დაუსვა კითხვა - ტელე რადიო მაუწყლებლობის მუხლში გეგმით გათვალისწინებულია 32.5 ათ. ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 8.8 ათ ლარი, არის გეგმის და ფაქტიური თანხის შეუსაბამობა.

მომხსენებელმა აღნიშნა რომ თანხა იყო ადგილობრივი გაზეთის დაფინანსებისთვის. რომელზეც დაგვიანებით გამოცხადდა ტენდერი , ხელშეკრულების გაფორმება მოხდა დაგვიანებით , აქიდან გამომდინარე თანხა გაიხარჯა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან. რამაც გამოიწვია თანხის ეკონომია. კომისიის წევრმა დავით პირველმა - მმართველობაში არაფინანსური აქტივების ხარჯვაზე მოითხოვა განმარტება, თუ რა მიმართულებაზე იყო თანხა გახარჯული. მომხსენებელმა განმარტა რომ თანხა გახარჯულია მუნიციპალიტეტის მერიისათვის შეძენილ ავტობუსებისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის 2024 წლის ექვსი თვის ანგარიში შეფასდეს დადებითად და წარმოდგენილი სახით გატანილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

ლამზირა გუგავა

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე